ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი

იანვარი
2
1989

— რა დააშავა, რატომ მიჰყავს?
— ერთმანეთის ენები არ იციან და ამიტომ საერთო ენა ვერ გამონახეს!

ნახ. ზ. ფორჩხიძისა

თავიანი ხახვი და უთავო ხალხი

ფელეტონი

ხახვს მ ე ტ ა დ ურთულესი და უძველესი დამოკიდებულება აქვს ხალხთან.

ჯერ კიდევ **ბ ი ბ ლ ი ა** გვაუწყებს, რომ როცა მოსე წინასწარმეტყველმა თავისი ხალხი ეგვიპტელთა ტყვეობიდან იხსნა და აღთქმის ქვეყანაში ქანაანს მიიყვანა, ებრაელებმა უსაყვედურეს, ამ უდაბნოში სად მოგვიყვანე საშიმშილოდ, ეგვიპტეში ხახვი თავსაყრელი გვქონდაო!..

ხახვმა ხალხში ჯერ ვიტამინებით გაითქვა სახელი, მერე კი ხალხურ მედიცინაშიც შეაღწია, როგორც იარების მომშუშებელმა და სისხლდენის შემჩერებელმა წამალმა.

ხახვმა დიდი ამაგი დასდო ჩვენი მეტყველების განვითარებასაც. სად არ გაიგონებთ ფრთოსან გამოთქმებს, **ყურებზე ხახვი არ დამაჭრაო, ხახვივით შემრჩაო** და სხვა ასეთებს. ხახვმა ამასთან ერთად შეიძლება ცხარე ცრემლიც გადინოს, თანაც გაუთავებლად. სწორედ ამიტომ ხახვთან ურთიერთობაში დიდი სიფრთხილე გვმართებს; თუ კაცს თ. ვი არა გაქვს, თავიანი ხახვის მოყვანა არ უნდა ის ავო!

ეს და ამდაგვარი სხვა ფიქრებიც აღგვიძრა შარშან გვიანი შემოდგომით **მარნეულის რაიონის წერეთლის მებოსტნეობის მეურნეობაში** ჩასვლამ და **მინდორში ღია ცის ქვეშ მიტოვებული თავიანი ხახვის ზვინების ხილვამ!..**

ხალხო, ვისია ეს ხახვი? - - აღმოგვხდა წამხდარი ხახვისგან ცრემლმორეულებს და რადგან პასუხი არავინ გაგვცა, მივხვდით, რომ ვიღაცას მართლაც ხახვივით შერჩა ამხელა მოსავლის წახდენა!

ხალხისგან რომ ვერაფერი გავიგეთ, წერილობით წყაროებს დავუწყეთ ჩხრეკა... და, აი, რა აღმოჩნდა: **1988 წელს წერეთლის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში კახეთიდან მოსული მუშების ერთმა ჯგუფმა ოჯახური იჯარით 14 ჰექტარზე ხახვის უხვი მოსავალი მოიყვანა, ოღონდ მეურნეობის დირექციამ მათგან მოყვანილი თავიანი ხახვის მხოლოდ ნაწილი ჩაიბარა — 81940 კილოგრამი.**

ვ. ი ბ რ ა ჰ ი მ ო ვ მ ა, მაგალითად, 6 ჰექტარიდან მეურნეობას მიაღებინა 54250 კილოგრამი, 30 ტონამდე ხახვი კი მინდორში დარჩა!..

მ. მ ა ჰ ო მ ე დ ო ვ მ ა მასზე გაპიროვნებული 5 ჰექტარიდან მიაღებინა 32640 კილოგრამი, 100 ტონამდე თავიანი ხახვი კი, მინდორში დაზვინული, გასაფუჭებლად გაწირეს!..

ეს მაშინ, როცა **მეურნეობამ გეგმური 1320 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 1167 ტონა ხახვი!..**

მეურნეობის ხელმძღვანელობა მუშებს აბრალებს, ეს ყველაფერი მათი უთაურობით მოხდაო, მუშები დირექციას სდებენ ბრალს, სამართალდამცავი ორგანოები კი დუმან!.. ნუთუ მათ მაინც არ აწუხებთ გაფუჭებული ხახვის სუნი?

ჩვენ კი ამ წერილობითი წყაროების გაცნობის შემდეგაც კვლავ იმ თვალსაზრისზე ვდგავართ, რომ კაცი თუ თავიანი ხახვის მოყვანას გადაწყვეტს, საზრიანი თავი უნდა ებას!

ელგუჯა მერაბიშვილი,
ვანო ცინცაძე,
„ნიანგის“ სპეცკორესპონდენტები.

ნახ. გ. ლომიძისა

— ზედმეტი უანგარიშა?

— არა, დეფიციტური საქონლის გადამალვა ვერ მოასწრო!



ნახ. მ. აბაშიძისა

დავით ასკურავა

* * *

დიახ და მართლაც არ სჭირდება
მტკიცება ამას:
სისხლით და გენით
შვილი ჰგავს მამას!
მამა თუ მღერის, რაღად უნდა შვილს
ხმა და სმენა?
ჭკუა ან ენა: —
მომღერალია!..

პროფესორსა ჰყავს პროფესორი, მხატვარს — მხატვარი!..
აქ ხომ ჩამოთვლას არ აქვს საზღვარი!..
მიბაძვა? ჩვევა?
რისი ბრალია?

დიახ და მართლაც არ სჭირდება
ჩიჩინი ამას:
უნიჭობაში, რა თქმა უნდა,
შვილი ჰგავს მამას!

* * *

ის არ მაოცებს, ვინ ვის აირჩევს
ან რანაირი ფერის ცვეთს ხალათს, —
მიკვირს, სისხლ-ხორცი, სიყვდილ-
სიცოცხლე
ერთგვარი რომ აქვთ მგოსანს
და ჯალათს!..

* * *

თუკი გამხდი ბედნიერს და
შემოდგომას შენს თავს მაწვევ,
დედაც არ მოგენატრება,
ისეთ მასპინძლობას გავწევ,
გადატყორცნილ ბუმბერაზ მთებს
ხელს დავკრავ და სუფრად ვაქცევ,
მუსრს გავავლებ თევზს და
ფრთოსანს,
საკლავსაც კი წამოვაქცევ,
ქვევრს მოგიხდი ასფუთიანს,
ჯიხვის ყანწებსაც მოგართმევ!..
ერთი სიტყვით, მოვილხინოთ,
გადვირევი და გადაგრევ!
სული მთხოვე წარსატანად,
ოქრო-ვერცხლს ხომ ალარ ვათნევ!..
აქ დარჩენას ნუ იფიქრებ,
მასპინძლობას ნუ წამართმევ!
თორემ ნახე, რაც ხიზანი
და სტუმარი მოვიწვიე,
ყველა გვერდით დამისახლდა,
დიდი ვნება მოვიწვიე!

* * *

სამშობლოს ხვედრზე, ძმავ,
შეჭირვება
შენი ყალბია და მოჩვენებაა!..
არას გაყვედრი, ბედის დამდგენმა,
ზენა უფალმა ასე ინება,
რომ ყოფილიყავ დიდი ურცხვი და
სულ ერთი ბეწო კეთილშობილი!
რისი კრწანისი?! რისი დიდგორი?!
ფეხზე გკიდია ძმაც და დობილიც!
სამაგიეროდ ნიჭი გაქვს ქლესის!
შესათითხნავად მყვირალა ლექსის!
ვით ყომარბაზი, კამათელს ისვრი,
ლამაზ ოცნებებს ბილწავ და მისვრი!
იმას გაჰყვირი (ხარკს უხდი მოდას),
რაიც არ არგებს ჩვენს ჯილაგს,
მოდგმას!..
არა თაკილობ მისტიკურ ბოდვას,
გაძღომის ხარჯზე იტვირთავ
ცოდვას!..
სამშობლოს ხვედრზე, ძმავ,
შეჭირვება
შენი ნამდვილად არა მჭირდება!..



კაცი ხარ, ადამიანი?!

კაცი ხარ, ადამიანი?!
რას დაემსგავსე, ძმობილო,
რად ჩამოგსვლია ღაბაბი?
ნუთუ კაცს ეგრე ასივებს
ლუდი, ხინკალი, ქაბაბი?..
სასაუზმეში შესვლისთვის
არ დაგელევა საბაბი,
მაგრამ გახსოვდეს: არა ხარ
მარტო შენ შენი ნაბადით!..
წავიდა ის დრო, ლოთებთან
ლხინში რომ თვალებს ნაბავდი!
ან ეგ მუცელი რას გიგავს?
დამსგავსებიხარ ლუარსაბს!
სასმელ-საჭმელი თუ ნახე,
აროდეს იტყვი უარსა!
„გხატავს“ მორგვივით კისერი,
შენი თითები კოტიტა!..
ვერ ძღები ცვრიან მწვადებით,
ჩალაღაჯ-ანტრიკოტითა!..
„ვოლგაში“ აღამ-ათენებ,
ფეხით ნაბიჯს არ გაივლი,
ერთმანეთისგან ვერ არჩევ
მაისს, ივნისსა და ივლისს!..
ჯერ ოცდაათის არა ხარ,
გიჭირს ტარება სხეულის,
ძლივს დაბაჯბაჯებ, რუმბს ჰგავხარ,
ცოცხალ ლეშად ხარ ქცეული!..
ვით ლოკოკინა არ ტოვებს
თავის სახლს — თავის ნიჟარას,
მისებრ მანქანის მონა ხარ,
გიჟი ხარ ან ნაგიჟარა!
მაგ უცხოური სიგნალით
აიკელ ეზო-ქუჩები,
მოდური ლოშნა-პროშტითა
ლამის გაგიცვდა ტუჩები!..
ეს ჩემი რჩევა მიიღე,
სანამ არ არის გვიანი:
გახსოვდეს, ძე ხარ ადამის,
კაცი ხარ, ადამიანი!
ხოლო თუ მართლა კაცი ხარ, —
ჯრა ორფეხა ცხოველი, —
კაცურ ცხოვრებას შეუდექ
და უკუაგდე ყოველი, —
რაც ადამიანს ამდაბლებს,
რასაც მისგან არ მოველით!
გახდი ამ ქვეყნად სიკეთის
და სათნოების მთოველი!

თ. წითელხეველი



ეროვნული ბიბლიოთეკა

უსიტყვოდ

ა ზ რ ე ბ ი

● **თუ** მიხვდი, რომ სიტყვა ყვავილია და საქმე — ნაყოფი, მაშინ არც იმის მიხვედრა გაგიჭირდება, რატომ არის ასე გადაყვავილებული მთელი დუნია!

● **თავისუფლებას** კანონები კი არა, უკანონობა და უსამართლობა ზღუდავს.

● **სიმართლე** შეიძლება სადღაც ცილისწამებას ჰგავდეს, თუ ადამიანს ცალმხრივად დაახასიათებ და მის მარტო ნაკლოვან მხარეებს წარმოაჩენ.

● **კეთილმოწყობილი** ცხოვრება ყველას უყვარს, მაგრამ ასევე თითქმის ყველას სურს, რომ ეს კომფორტი სხვის მიერ იყოს შექმნილი.

● **შეიძლება** ერთდროულად ფიქრობდე ერთს, ამბობდე მეორეს, წერდე მესამეს, აკეთებდე მეოთხეს და მაინც არაფერი საერთო გქონდეს კეისართან!

● **ლუარსაბ** თათქარიძე რომ ერთადერთი ყოფილიყო, იგი ახლა ასე ცოცხლად არ გვეყოლებოდა.

● **ბევრს** აინტერესებს, რა ხდება საიქიოში, მაშინ როცა ეს ხალხი ხეირიანად ვერ გარკვეულა, თუ რა ხდება სააქაოში.

● **ერის** უღელზე ბევრი აცხადებს პრეტენზიას, მაგრამ ზოგს იგი სამკაულად მიაჩნია და უღელს გაწევა რომ უნდა, ამაზე არ ფიქრობს.

გიგლა ბახტაძე

არასასიამოვნო ფინალი

ძმაკაცებმა რესტორანში გააჩაღეს პურისჭამა!..
— ო, ტიტიკოს ვენაცვალე, ხომ ხარ, ბიჭო, ფურის ჯანად?
— რაღაი ფურს შემადარე, კაცად არ მთვლი შენ, დათიე?
— ალალ, ძმაო, ნათლიებმა კარგ საქმეში შეგათრიეს!
— შეხე ამას?! ეხარბება! შენც კი იცი, ლევანიე,
ამ ყაძახის დალვინებას რა ფულები შევალიე!
— არც მე დაგრჩი უსინდისოდ, რამდენჯერმე გამოგაძღე,
აბდალი ხარ, დაგავინყდა, პალტოთი რომ გამოგაწყვე?
— დამიხედე ამ უჯიშოს, რას ბვრეტს ამდენ გარდაქმნაში!
— არ გრცხვენია?! ეგ წვეთია, ბიჭო, ჩავარდნილი ზღვაში!
— ჰოდა, ამით დაამტკიცე, რომ ხარ კაცი ნადირია,
უბედური შენი ცოლი ლამის არის, გადირია!
რამდენჯერაც წაგიკითხეს არზები და ნოტაცია,
გულთან არ მიგიტანია, ჩათვალე, რომ მოდაშია!
ახლა, ძამა, სულ სხვა დროა, სხვა ქარები ამოქრიან,
მიწაშიც რომ შეინიღბო, იქიდანაც ამოგთხრიან!
— კაი, ერთი, ფილოსოფოს, ნუ გადაყევ ლათაიებს,
რასაც შეჭამ, რასაც დალევ, სამარეშიც მას წაიღებ!..
ოფიციანტ! მოიტანე, თუ გაქვს რამე მოსატანი,
ფულებს იმდენს ჩამოგაყრი, ვერ გაზიდო ორ საპალნით!..
... მოუტანეს შებრაწული ნინილები, ვარიები
და დათიემ წაიმღერა „დაისიდან“ არიები!
სვა და ჭამა ღორივითა, თავს დაისხა „ტიბაანი“,
ჭურჭელს ხელი წამოუსვა, გეგონება თიბვა არი!
ატყდა განევ-გამოწევა, სკამ-მაგიდის მტვრევა-ლეწვა,
გააქანა დათიემ და ტიტიკოს ყბებში ლეწა!..
— ეს ფასია იმ პალტოსი, ალარა გაქვს სანუხარი,
მითხარ, თავით რა დაგიბა, მათხოვარო, თხა თუ ხარი?
ტიტე ცხვირპირდაბეჟილი წახანხალდა ძლივას სახლში,
დათიე კი გამოემწყვდა მჭიდროდ მილიციის რკალში!
ვერ უშველა ვერც ნათლიამ, ვეღარც ძიამ, ვეღარც მამამ,
ხუთი წელი მოუტანა უსასრულო სმამ და ჭამამ!..

ილო ალაზნელი

ნანა ჭანდელაკი

დავალება

იუმორესკა

გამოიძახა ამას წინათ ფაბრიკის წამყვანმა, ხელმძღვანელმა ბირთვმა, არა მარტო მათი დაწესებულების, მთლად რაიონული მასშტაბით ცნობილი და მოწინავე მუშა, ჯანით სავსე მიმოზა ჭკუასელი და მორიდებით მოიკითხა მისი ჯანმრთელობა.

— არ მეტყობა, რომ კარგად ვგრძნობ თავს, ანდუყაფარიჩ, თუ? აბა, იმ სამუშაოს ყოველ თვე ორასი პროცენტით რომ გისრულებთ, რანაირად? — ეწყინა კიდევაც ქალს უადგილო შეკითხვა.

— როგორ აგიხსნა, მიმოზა ჭკუასელო!.. საკითხი, რასაკვირველია, ცოტა საჩოთიროა, მაგრამ დავალებაა ასეთი, ჩემო დაო, და რას ვიზამთ!..

— დედა, რატომ ვარ ცოცხალი მე ძირშიმოსასპობი, მამაჩემის თუ დედაჩემის გლახა ამბავი მოვიდა სოფლიდან?! — სახე ჩამოიკაწრა მიმოზამ და დირექტორმა ხელი რომ გაასავსავა უარის ნიშნად, სულ გადაირია ქალი: — უი, ჩემს უმცროს ძმას, ლუტუშას ვენაცვალე, იმის გლახა გინდათ მითხრათ?!

— არა, ქალო, არა, ნუ აგვიკელი კივილით! — შეწუხდა ადგილკომის თავმჯდომარე.

— ვენერა! — გასძახა დირექტორმა მდივანს. — ცივი „ბორჯომი" მოართვი მიმოზას სწრაფად, ოპერატიულად!

ცქრიალა ვენერა, მართლაც, მაშინვე შემოქანდა კაბინეტში მაცივრიდან წამოღებული „ბორჯომის" ბოთლებით და ჭიქებით, მიმოზას პირთამდე შეუვსო ჭიქა და ასევე სწრაფად გაუჩინარდა ტყავგადაკრულ კარსუკან.

— დალიე, მიმოზა, დაგამშვიდებს, გულს გაგიგრილებს, „ბორჯომია", ჩვენი უკვდავების წყალი!.. — მიესიყვარულა აღელვებულ ქალს დირექტორი.

— ჯერ სიტყვა მითხარით, რა გაქვთ სათქმელი, რა ისეთი დავალებაა, ფერი რომ არ გადევთ სახეზე!.. — განზე გასწია „ბორჯომით" სავსე ჭიქა მიმოზამ.

— აბა, გეტყვი პირდაპირ, ოღონდაც პასუხი დაფიქრებული გამეცი, ისე, რომ სიტყვა საქმეს არ ასცდეს, დავალება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა! — ამოიოხრა დირექტორმა და მიმოზასთვის გამზადებული ბორჯომის წყალი სულმოუთქმელად დალია.

— ე, ბოშო, თქვი, ნუ ამომხადე სული, ანდუყაფარიჩ! — მუდარით მიაჩერდა დირექტორს მიმოზა.

— თქვი, ანდუყაფარიჩ, თქვი! — წააქეზა დირექტორი ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა.

— ჰოდა, ვიტყვი, — მუხლებზე ხელი შემოიკრა დირექტორმა და ბოლთა დაარტყა საკმაოდ მოზრდილ კაბინეტში. — უნდა ზუსტად გვითხრა, იმიტომ რომ შენი პასუხი ჩაიწერება, როგორც დოკუმენტი!

— კი, ბატონო, კი, ზუსტად მოგახსენებთ!.. როდის იყო, რომელიმე ღონისძიებაზე უარი მეთქვას?! — თავი დააქნია ცნობისმოყვარეობით ატაცებულმა ქალმა.

— ჰოდა, ძალიან კარგი!.. მაშ ასე: შენ უნდა ზუსტად გვითხრა, მიმოზა, ამ საუკუნის დამლევამდე რამდენი ბალანით, ბოდიშს ვიხდი კუთხურობისთვის, რამდენი ბავშვით გაზრდი ჩვენს მოსახლეობას?

— რაიო?! — უცებ ვერ მიხვდა შეკითხვის არსს მიმოზა და გაოცებული მიაჩერდა არანაკლებად შემცბარ დირექტორს. — ამას მე მეკითხებით, გაუთხოვარ, უქმრო ქალს?! არა, ვინ გგონივართ მე თქვენ, ჰა?! ეს იმას მოჰკითხეთ, ვისაც...

— მოიცა, მოიცა! ნუ გააჭენე, მიმოზა ჭკუასელო ახლა!.. — სცადა ქალის დამშვიდება ადგილკომის თავმჯდომარემ. — სხვისკენ ხელის გაშვერა ადვილია, იმ სხვამ თვითონ მიხედოს თავის თავს და რომ იცოდე, ზოგი კიდევაც არის იმიტომ გმირი დედა და ქეც ზრდის ათ და თორმეტ შვილს. მაგრამ აქ საკითხი შენს დამოკიდებულებას შეეხება... მოსახლეობის ზრდის საკითხში!

— არ გყავს ქმარი? იშოვე! — შენიშნა კომკავშირის კომიტეტის მდივანმა.

— თქვენ მიშოვეთ, ასე ადვილი თუ არის! — გაიკრიჭა მიმოზა.

— ეჰ, ადვილი რომ იყოს, ფაბრიკაში გაუთხოვარი ქალების რიცხვი ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი არ გვეყოლებოდა! — ამოიოხრა დირექტორმა, — მაგრამ გაიგეთ, ქალებო, ჩემი მდგომარეობაც, დავალებაა ასეთი, გესმის, მიმოზა?

— კი, ბატონო, შემოვდივარ თქვენს მდგომარეობაში და კარგ სიტყვასაც გპირდებით, თქვენ ობიექტი გამომიძებნეთ და მე მოვკვდე, თუ გამრავლების საკითხშიც ორასი პროცენტით არ შეგისრულოთ ეგ თქვენი დავალება!

— რანაირად, მიმოზა?! საიდან გამოგიჩინოთ, ქალებო, ამდენი ობიექტი?! — ხელები გაასავსავა ადგილკომის თავმჯდომარემ.

— სულ უბრალოდ: უცოლო კაცს არ აღირსოთ დაწინაურება, ჩაასმინეთ, რომ ეგენი არიან კაცობრიობის შემქმნელები, ჩვენ კი, ქალები, მხოლოდ მშობლები ვართ! გასაგებია? არადა, ყველას მაგიერ მოსახლეობის ზრდის დავალების შესრულება თქვენ მოგიხდებათ, ბედნიერო ოჯახებო, მაგრამ ამდენი გასათხოვარი ქალის მაგიერ შეძლებთ განა ამ პასუხსაგები დავალების შესრულებას?!

— ვენერა! — ყვირილით შემოჰკრა მაგიდას დირექტორმა ხელი, — ახლავე გამომიძახე აქ ყველა უცოლო კაცი, უკლებლივ ყველა!

— კი, ბატონო, მაგრამ... დაეტევიან ვითომ ყველანი თქვენს კაბინეტში?

— იკადრონ და დაეტიონ!

— კი, ბატონო, მაგრამ... დღეს ხომ მაგნიტური დღეა და ამ გულგასახეთქი საკითხით რომ მიმართოთ კაცებს, ხომ შეიძლება წნევამ აუწიოთ და რამე რომ მოხდეს წინდაუხედავი? გინდათ პასუხი აგოთ, ანდუყაფარიჩ? მოერიდეთ, ბატონო! რა ვუყოთ, რომ კაცებია, უცოლო და უოჯახო, ხომ ჩვენი კოლექტივის წევრებია ყველა და ცოდონი არიან, რაღა ამ მაგნიტურ დღეს შეეწირონ! — ცრემლიანი თვალი ნაღვლიანად დახარა ვენერამ.

— გესმის, მიმოზა, რა ხდება? ესეც ბედია თქვენი, ქალებო, რომ ამ დავალების შესრულებას მაინცდამაინც ეს მაგნიტური დღე დაემთხვა! — ამოიოხრა დირექტორმა.

— მე მაინც წარმატებას გისურვებთ, ანდუყაფარიჩ! ნუ დაივიწყებთ, რომ დავალებას შესრულება უნდა! — ღიმილით გახედა ჩაფიქრებულ ხელმძღვანელ ბირთვს მიმოზამ და უხმაუროდ გავიდა კაბინეტიდან.



— შენი ზომა შიგნით მაცვია, სალამოს გამოიარე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაკვირვებელი აჩქარება!

„ეს, რომ თითქმის ყოველი მეხუთე საბჭოური მატარებელი დაგვიანებით მოდის, რკინიგზელებისათვის ჩვეულებრივ ამბად ქცეა“

გაზეთებიდან

ეს ჩვენს რკინიგზელებზე ითქვა.

— მერე რა, მარტო ჩვენთან ხომ არ არის ასე? — გვეუბნებიან ჩვენი რკინიგზელები, — კიდევაც ბევრ ამბრიე ფიდი „მიდნეკეებია“, ეოდა, ამ „მიდნეკეებში“ ჩვენი ნელილიც შეგაქციეს!

ოფიციალურ ტერატორიაზე ცხრა თვეში 75 ათასი მატარებელი არ მისულა აგვიანებენ დროს. ეს მატარებლების საერთო რაოდენობის 13 პროცენტს შეადგენს, ჩვენს რესპუბლიკაში კი, როგორც თქვეს, ყოველ მეხუთე საბჭოური მატარებელი, ე. ი. 20 პროცენტი აგვიანებს!..

ოფიციალურ ჩვენს რკინიგზელებს!.. მათი პრო

შიშის მ ი თ ო ლ ო გ ი ი დ ა ნ ეს ყველაზე შემზარავი და ცივი ოფლის მომგვრელი სიმბოლოა — თარსი კაცი!.. მისი მრავალგვარი ნაირსახეობებიდან თავისი მაცდური ბუნებით განსაკუთრებით გამოირჩევა ეგრეთ წოდებული წვერცამეტა, გაიგივებული ყველაზე კვიმატ ცამეტ რიცხვთან!..

წვერცამეტა ქოსა კაცია, მას მხოლოდ ნიკაპზე და საულვაშესთან ამოსდის რამდენიმე ბეწვი, ზოგჯერ ღინღლი ან ბუსუსი. ბეწვების რაოდენობა ზოგ შემთხვევაში ზუსტად ცამეტია (კლასიკური ვარიანტი), გვხვდება ანომალიებიც, როცა ბეწვები ცამეტზე ნაკლებია ან ბევრით მეტი.

რადგან ბეწვების რაოდენობის დადგენა სტატისტიკური სიზუსტით ყოველთვის ვერ ხერხდება, მეცნიერები საშუალო არითმეტიკულთან მიახლოებულ სიდიდეს იღებენ და ასეთ ქოსებს წვერცამეტად ნათლავენ!..

თუ წვერცამეტას სახის რელიეფს დამატებით სხვა მაცდური ანომალიებიც ახლავს, ვთქვათ, საეჭვოდ უჟუჟუნებს თვალები ან ელამელაა, ან ჭუტალა, ან ბრუტსაბძელი, ან ბრუციციხე და თანაც ეს კაცი ზედ ცამეტ რიცხვს, ორშაბათ დღეს მისაღებ გამოცდაზე მიმავალს წინ შემოგეყრება, განა რაღასი იმედი უნდა გქონდეს?

„დავიღუპე!.. გამომეჭრა ყელი და ეგ არი!“ — გავიფიქრე, როგორც კი ტროლეიბუსში შევდგი ფეხი და ის... ის უხსენებელი დავინახე.

თვალი ავარიდე, მაგრამ რაღა დროს, — ერთი-ორჯერ ბუსავით დამიპარპალა თეთრზე დაყენებული, სადღაც ქუთუთოებში შებრუნებული გუგები და ჩემკენ წამოვიდა. არა, არ შევმცდარვარ, ის იყო, ბეციკა, იგივე ბესიკა, იგივე ბესარიონი, იგივე ბუცანცალი და ასე შემდეგ, იმისდა მიხედვით, ვინ როგორ მიეფერებოდა. ბიოლოგიური სტანდარტით კი წვერცამეტა იყო.

— საით მიბრძანდებით, ბატონო ბესარიონ? — ვკითხე მისალმების შემდეგ და ორი ბილეთი ერთად მოვახიე სალაროს რულეტს.

— ზუსტად იქით მოვდივარ, საითაც შენ გაგიწევია! — ისევ დამიპარპალა.

ეს უკვე საშამათო სვლა იყო, რამაც დამატორტმანა, ტროლეიბუსიდან ჩამომაგდო და დარჩენილი მანძილი ფეხით გამატარა.

ახლაღა გამახსენდა, რომ საბუთებიც ცამეტ რიცხვში შევიტანე, იმ დღით ცოტა იყო ხალხი და ამან წამიცდინა და, აი, ახლა მორიგმა გამოცდამაც ცამეტში მომიწია და თანაც გზაზე წვერცამეტა შემომეყარა!.. ცამეტი, ცამეტი, ცამეტი!.. სამი ეშმაკის დუჟინი ერთად იყრიდა თავს!..

ერთი ხანობა უილაჯობამ დამრია ხელი, ლამის ტირილი დავიწყე და უკან გამოვბრუნდი. განიარაღებული შევდიოდი გამოცდაზე, აღარც ვაზნებივით დასორსოლავებული შპარგალკების პატრონტაში მერტყა წელზე და აღარც წვრილად ნაწერი ბლოკნოტი მედო უბეში.

„თუ თავი შენი თან გახლავს, ჩაჭრილად არ იხსენიები!“ — გავამხნევე ფორმულებით, განტოლებებით, ბინომებით, ლოგარითმებითა და პროგრესიებით ნალმივით დატენილი ჩემი ვეება გოგრა და აუდიტორიაში ვდურთე!..

წარმოიდგინეთ, მართლა ნალმივით გასკდა ეს დალოცვილი, რო გენახათ, სულ ნამსხვრევებივით ფანტავდა ასოით გამოსახულებებსა და ნატურალურ რიცხვებს!..

მოხუცი გამომცდელი, სულთამხუთავი რომ მეგონა, ხუთიანის მახარობელი გამოდგა. გახარებული გარეთ გამოვიჭერი და იქვე შევდექი გაოგნებული!..

ინსტიტუტის შენობა ალყაშემორტყმულ ციხეს ჰგავდა, რომლის ქონგურებიდან სასიკვდილო დაჭრილებივით დაბლა ცვიოდნენ და კიბეზე მიგორავდნენ ჩაჭრილი აბიტურიენტები!..

და იდგა ერთი ვაი და ვიში ალყად მოზიმზიმე ხალხში.

იყვნენ გამონაკლისებიც. კიბის თავზე შედგებოდნენ, ხუთ ან ოთხ თითს გაფარჩხავდნენ გამარჯვების ნიშნად და სიხარულით ახორხოცებულ ბრბოს უცვიოდნენ მკლავებში!.. და იყო ერთი ხვევნა და მტლაშამტლუში.

ამ სანახაობამ გული დამწყვიტა. ამდენ ხალხში კაციშვილი არ ერია, რომ ჩემი გამარჯვება მეხარებინა. ნელა დავეშვი კიბეზე.

ანაზდად ერთადერთი ნაცნობი სახე გამოკრთა უსახურ და უნაპირო ბრბოში, როგორც ნათელი ხატი, ისე გამოარჩია იგი უცხო ხალხის ტევრში ჩემმა გონებამ და მთელი არსებით მისკენ გამაქანა!..

— ხუთიანი მივიღე!.. მესამე ხუთიანი! — ვბღაოდი თუ ვერიალებდი, სულ არ მეკითხებოდა, ოღონდაც მისთვის ხმა მიმეწვდინა! რომ მივუახლოვდი, თვალები დავხუჭე და გაშლილ მკლავებში ჩავუვარდი!..

როცა მისი ხვევნით გული ვიჯერე და სიხარულის ტალღამ თანდათან დამიცხრა, თვალები გავახილე და კაცს შევხედე!.. ელდა მეცა!..

ჩემს წინ ბესიკა, იგივე ბეციკა, იგივე ბესარიონი, იგივე ბუცანცალი იდგა, ბუსავით აპარპალებდა თეთრზე დაყენებულ თვალებს და გაღიმებას ცდილობდა.

ელგუჯა მერაბიშვილი

ნახ. ავთანდილ ჭულაძისა

— ქვეყანას მე ვაცმევ და თქვენ უნდა გამატყავოთ?!

კითხვები და პასუხები

— ვის ამშვენებს სახე დაუმალავი?
— ს ი მ ა რ თ ლ ე ს!

— ვისი გვმართებს ტრფობა დაუფარავი?
— ს ი მ ა რ თ ლ ი ს!

— ვის გაურბის სხვის ამაგთა მპარავი?
— ს ი მ ა რ თ ლ ე ს!

— ვისი ბოლო რჩება შეუბღალავი?
— ს ი მ ა რ თ ლ ი ს!

— ქედს ვის უხრის მტერი, რისხვით მზარავი?
— ს ი მ ა რ თ ლ ე ს!

— ვისი მტრობა არ შერჩება არავის?
— ს ი მ ა რ თ ლ ი ს!

— რითი მაგრობს გულში გრძნობის კარავი?
ს ი მ ა რ თ ლ ი თ!

— ვინ არის, რომ ინვნევს რისხვას ხალხისას?
— ყველა, ვინც კი მტერია ს ი მ ა რ თ ლ ი ს ა!

ეპიფანე ცინცაძე

ფრანგული კოსტიუმი

იუმორესკა

— გამარჯობა, გივი! რა არის, რას ისინჯავ, კაცო?

— რა ვიცი, ჩემო პავლე!.. შემთხვევით შემოვედი მაღაზიაში და ამ კოსტიუმს გადავაწყდი. ფრანგული ყოფილა თურმე. თანაც ძვირი არ არის, 90 მანეთი მარტო ამის შეკერვა დამიჯდებოდა!..

— მაჩვენე, ერთი, თუ კაცი ხარ, როგორია!

— აი, ნახე, ფერიც ხომ კარგი აქვს?

— რა ზომაა?

— ორმოცდაათი!

— კიდევ თუ აქვთ, ნეტავ?!

— არა, ამის მეტი არ ჰქონიათ: აგერ იმ კაცსაც ნდომებია, მაგრამ მეტი ალარ გვაქვსო!

— დამანახვე, ტანზე თუ გიხდება!

— რა ვიცი, სარკეში ვიხედები და თითქოს კარგად უნდა მქონდეს! შენ რას მირჩევ, პავლე, ავიღო თუ არა?

მე აღხედ-დავხედე და მხრები ავიჩეჩე.

— რა იყო, კაცო, არ მოგწონს?

— არა, როგორ არ მომწონს, მაგრამ!..

— რა კაგრამ?!.

— რა და, ამ გაჭალარავებულ კაცს ასეთი „სტილნი" კოსტიუმისათვის რომ დაგიდგამს თვალი, გაგონილა?

— ვითომ ნამეტანი „სტილნია"?

— ეჰ, დავბერდით, ჩემო გივი, დავბერდით, რაღა დროს ჩვენი მაგნაირი კოსტიუმებია! სხვა თუ არაფერი, ხალხი დაგვცინებს, ცალი ფეხი სამარეში უდგათ და მაინც იპრანჭებიანო. მაგნაირები, ჩვენ კი არა, ჩვენს შვილებს უფრო შეეფერებათ!

— მართლა, კაცო?!

— აბა არა? მაინცდამაინც მე უნდა მეთქვა ეს? შენ თვითონ როგორ ვერ მიხვდი ამდენს! მაგ თმებს ჭკუაც ხომ არ მიაყოლე, მოხუცო?

— რა ვიცი, პავლე, სულ გამოვშტერდი ამ ბოლო დროს. კიდევ კარგი, შემთხვევით შემოხვედი, თორემ თავს საცინლად გავიხდიდი. სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩემს შვილებს რა გადაურჩებოდა, მთელ წელიწადს ეყოფოდათ სალაპარაკოდ! შენ აგაშენა ღმერთმა, ჩემო პავლე!

გივიმ კოსტიუმი გაიხადა და ისევ საკიდზე ჩამოკიდა.

— რას აპირებ ახლა, სახლში მიდიხარ?

— კი, სახლში წავალ.

— აბა, კარგად იყავი! მეც ცოტას მივივლ-მოვივლი, შვილიშვილისთვის მინდა საჩუქარი ვიყიდო და მერე მეც გავუყვები გზას.

გივი გულთბილად გამომემშვიდობა, კიდევ ერთხელ გადამიხადა მადლობა და წავიდა. თვალს მიეფარა თუ არა, უკან მოვტრიალდი, სასწრაფოდ გადავთვალე 90 მანეთი და გამყიდველს მივეცი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ხელში ლამაზად შეხვეული ფუთა მეჭირა და გახარებული სახლისაკენ მივდიოდი.

რუსუდან ნათენაძე

ნახ. ვ. კუციასი



უსიტყვოდ

ა რ ა კ ი

მივატოვე დედის კალთა, მამის ძვალშესალაგი!..
ვაი, დედა!.. ვაი, დედა!.. ვაი, დედაქალაქი!..

ვინ დუმილით მიმასპინძლა, ვინ — ქვითა და ტალახით!..
ვაი, დედა!.. ვაი, დედა!.. ვაი, დედაქალაქი!..

ცრემლი მდის და გული მტკივა, ღმერთი დამემალა კი!..
ვაი, დედა!.. ვაი, დედა!.. ვაი, დედაქალაქი!..

დამცინიან ეშმაკები — „ჰო" და „არა", „არა", „კი"!..
ვაი, დედა!.. ვაი, დედა!.. ვაი, დედაქალაქი!..

დავრჩი, როგორც შარაგზაზე გასრესილი ბალახი!..
ვაი, დედა!.. ვაი, დედა!.. ვაი, დედაქალაქი!..

ვახტანგ ღლონტი
(ქ. ბ ა თ უ მ ი)

ნახ. ი. ყეინაშვილისა



უსიტყვოდ

ქელეხი

ნოველა

— სოფელში რომ შეხვალთ, მაშინვე იკითხეთო!

— კითხვა სირცხვილია! სადაც კუბოს დავინახავთ, იქ გავაჩეროთ!

— გარეთ ხომ არ დაგიდგამენ კუბოს, შე კაი კაცო? — ხმამაღლა ლაპარაკობდნენ დაქირავებული ავტობუსის მგზავრები — დედაქალაქის რომელიღაც დაწესებულების მუშაკები.

— რაც სირცხვილია, იმისი გრცხვენოდეთ, შვილო, თორემ კითხვა სათაკილო არ არის! — ახალგაზრდების საუბარში ჩაერია ხანდაზმული.

ორლობის ბოლოში შავით მოსილი ქალები დალანდეს.

— მიცვალებულის სახლი აქეთ არის?

— აქ უნდა შეუხვიოთ!

— მიცვალებულს გიორგი ჰქვია, არა? — დასაზუსტებლად იკითხა ერთმა.

— გიორგი მამასა ჰქვია!

— კი, მამასა ჰქვია. შვილის სახელი ჩვენც ვიცით.

ავტობუსი გულდაგულ შეგრიალდა ტალახში, ვაჟკაცურად გატოპა, პატარა აღმართი ბღუილით აიარა და რიყიანზე დაივაკა ქვების ბზრიალით.

— ფული და სია ვისა აქვს?

— მარგალიტას.

— ჩამწერე!

— აქამდე სად იყავი? — შენიშნა ვიღაცამ.

— ალბათ იფიქრა, სახლს ვერ ვიპოვითო! — იოხუნჯა მეორემ.

ცოტაც და — კუბოს სახურავიც გამოჩნდა!.. ავტობუსი საიმედო ადგილას მიაყენეს და იქიდან რიგრიგობით გადმოვიდნენ სხვადასხვა ასაკის ქალები და კაცები. ერთმანეთს დაელოდნენ და დარბაისლური, სევდიანი სახეებით შევიდნენ ღია ჰიშკარში. მართალია, თავიანთი თანამშრომელი ამირანი ვერსად შენიშნეს, მაგრამ იფიქრეს, სხვაგან იქნებაო, და აღარ მოუცადეს: კიბესთან ჩამწკრივებულ ჭირისუფლებს ხელის ჩამორთმევით მიუსამძიმრეს და ოხვრით აუყვნენ კიბის საფეხურებს. კუბოს შემოვლისას მარგალიტამ სიაში გადახვეული ფული მიცვალებულს ფეხთით დაუდო და, როცა გარეთ გამოვიდნენ, მაშინღა იკითხეს, ამირანი სად არისო.

— რომელი ამირანი?

— ამირანი არ იცით? ქვეყანა იცნობს და...

— აჰ, ამირანი?!. ამირან!.. ამირან!.. — ხალხის ჩურჩული ერთი ჯგუფიდან მეორეში გადავიდა, მეორიდან — მესამეში და მცირე ხნის შემდეგ წვერგაუპარსავი ახალგაზრდა კაცი ტუჩების ლოკვით გამოვიდა სამზარეულოდან.

— არა!.. სხვა ამირანი გვინდოდა!.. — შეიშმუშნენ სათითაოდ.

— მიცვალებული რა გვარია? — გაბედა ვიღაცამ.

— მჭლაკვიაშვილი!

ამრეზილი მესამძიმრენი წელმოწყვეტილნი გამოვიდნენ ეზოდან.

— ჩვენი მიცვალებული რა გვარია?

— მჟავიაშვილი.

— მჟავიაშვილი და მჭლაკვიაშვილი ერთი არ არის? — იოხუნჯა ვიღაცამ.

— ეშმაკმა დალახვროს მაგათი თავი! ოცდახუთმანეთიანი კი დავღუპე და!..

— ბუნებაში არაფერი იკარგება!

— შენი ბრალია, მარგალიტ!.. რამდენი მანეთი იყო?

— ექვსას ორმოცდაათი!

— აბა, მაშ, ალალი იყოს!

— ალალი კი იყოს, მაგრამ...

ისევ მოიქექეს ჯიბეები. ისევ შეახვიეს სიაში ფული.

მთავარ გზაზე რომ გავიდნენ, ერთ ბერიკაცთან შეაჩერეს.

— განსვენებული მჭლაკვიაშვილის სახლი გვინდა.

— მჟავიაშვილი-თქო! — შეუსწორა ვიღაცამ.

— არ იცით, შვილო, ვისთან მიდიხართ?

— გიორგი მჟავიაშვილთან.

— აი, მაგ გზას აუყევით, მერე გაუხვიეთ, მერე გამოუხვიეთ, მერე ჩაუხვიეთ, მერე ჩამოუხვიეთ და იქვეა, ორას მეტრში.

— გიორგის ბიჭის ნახვაც გვინდა!

— მაშინ აქეთ უნდა წახვიდეთ! — ჯაგრისივით ნიკაპით მიანიშნა საითღაც.

— როგორ? ერთად არა ცხოვრობენ?

— ერთად რად უნდა ცხოვრობდნენ? ეგ როგორი სამართალია? — გაიკვირვა ბერიკაცმა და ყველანი დარწმუნდნენ, რომ ამ სოფელში მამა-შვილის ერთად ცხოვრება შეუძლებელი ყოფილა.

— გიორგის ბიჭი იქ რას აკეთებს? — იკითხა ცნობისმოყვარემ.

— მკვდარია და რას გააკეთებს?

— რომელია მკვდარი? ამირანი?

— არვი, ამირანი ჰქვია, არვი — ალექსა!

— რამ მოკლა, კაცო?! — იკითხეს შეშფოთებით.

— ავარიაში მოხვდაო!..

— ალბათ მამის სიკვდილი რომ გაიგო, გაოგნებული მიდიოდა და...

— რალა დროს მაგისი მამაა?! ომში დაეღუპა!..

— აბა, ჩვენ ვისთან მივდივართ?

— ეგ თქვენ უნდა იცოდეთ, შვილო! ამ სოფელში ოთხი მკვდარია: ფარნაოზ მჭლაკვიაშვილი, გიორგა მჟავიაშვილი, ანთიმოზ ხაპიაშვილი და ისიდორე ტურიაშვილი — გიორგას ბიჭი. ისე, ფარნაოზაც გიორგას ბიჭია.

ამასობაში პროცესია გამოჩნდა. მოტირალი ქალი მიცვალებულს ისე ნათლად უხატავდა საიქიოს ეკლიან გზებს, თითქოს ნავალი ყოფილიყო, და აფრთხილებდა, არ წახვიდეო, მაგრამ მიცვალებული სიძნელეებს არ უშინდებოდა და დინჯი, მტკიცე ნაბიჯით მიიწევდა წინ!..

— აი, ამირანი! — წამოიძახა ვიღაცამ და უმალ ავტობუსიდან ჩამოიშალნენ. ამირანს ხელი ჩამოართვეს, გვერდით გაჰყვნენ და ერთ-ერთმა ჯიბეში ფულიც ჩასჩარა:

— უფრო მეტი იყოს, მაგრამ გზას ავცდით და ვიღაცის მკვდარს შევეწიეთ!

და როცა ყველაფერმა ჩაიარა, ფული დედას გადასცა ამირანმა:

— უფრო მეტი მჭლაკვიაშვილისთვის დაუდიათ!.. გზა შეშლიათ!..

— მე გავამჭლაკვიაშვილებო, — უნდოდა ეყვირა დედას, მაგრამ თავი შეიკავა და მულს ასე გადაულაპარაკა:

— გაიგე, ქალო?! ჩვენი ფული გიორგას ბიჭისთვის დაუდიათ!..

— ქალი არ ვიყო, თუ კაპიკი შევარჩინო! — იწყინა მულმა, იმ საღამოსვე ჩადრი ჩამოიფარა და მჭლაკვიაშვილის ქვრივს ესტუმრა.

— ჩვენც შავ დღეში ვიყავით და დროზე ვერ მოგისამძიმრეთ, — მოიბოდიშა და ყოყმანით დაამატა, — თუმცა... ჩვენი ხალხი ყოფილა და ბლომა ფულიც დაუდიათ.

— იმათი ოჯახი ააშენოს ღმერთმა! გასაქანი არსაითა გვქონდა და თითქოს ღმერთმა გამოგვიგზავნაო!

— ჩვენც ძალიან გვიჭირს და ძეგლი რით დავადგათ, აღარ ვიცით!..

— თქვენ ძეგლსა ჩივით და ჩვენ რვაასი მანეთი ვალი დაგვედო!

— ვალი ჩვენცა გვაქვს და ჩემმა რძალმა შემოგითვალათ, ის ფული ხომ ჩვენს მკვდარს ეკუთვნოდა და შუაზე მაინც გაგვიყავითო! — ველარ გაბედა მთლიანის თხოვნა.

— თქვენი მკვდრის სული გაანათლოს-თქო ღმერთმა! შენი მეუღლე სიცოცხლეშიც კეთილი იყო და სიკვდილის შემდეგაც მადლსა თესავს-თქო. რაშიც უნდა დავხარჯოთ, ის ფული მთლიანად თქვენს მკვდარს მიუვა-თქო! — დაამშვიდა ჭირისუფალმა ჭირისუფალი!..

და დღესაც ამით იმშვიდებს გულს!..

გიორგი პაპუაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი — „ეროვნული ლირიკა“



მიწას ენდე!..

გაიკეთე ბუდე ღმერთთან,
ფერი გადევს სახედრის!..
ცაა ახლო მხოლოდ შენთან,
ისე მაღლა ახვედი!..

ხმის გაცემას, გთხოვ, ნუ მიწყენ,
შვილო ჩემი სოფლისა,
ასე რატომ დაივიწყე
დღენი დაბლა ყოფნისა?!.

დამიჯერე, მაგ დიდებას,
ცივი წყალი დანამავს,
მიწას ენდე, დაგჭირდება
ცოდვის დასაფარავად!..

დამსახურება

დამსახურება გაწელა,
ზიდა სიზიფეს ტვირთი.
სულ ერთი ლექსი დაწერა,
ნახევარია სხვისი.

მწვანეზე ფეხი ეტკინა,
პროსპექტზე უყვარს ყოფნა!..
უბრალო ჯილდო ეწყინა,
ნობელისათვის ოხრავს!..

სცივა კერას!..
დაუტოვე სახლი კატას,
ძაღლსაც ენდე, მგონია!..
მეზობლები კრეფენ ატამს,
მეგობრებში ჭორია!..

ვიღაც კაცი ცეცხლა კვერავს,
სურს, რომ თივა გათიბოს.
ზაფხულია... სცივა კერას!..
სად ხარ, ბიჭო დათიკო?!

რომ გაცოცხლდეს მამაშენი,
კვლავ მოკვდება მეორედ!..
მოდი, ასე არ შეგშვენის,
მამულს თოხით ეომე!

რიგში

ხშირად უხეშად ირღვევა ბინის მთხოვნელთა რიგი.
გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ

შემოგყურებს ყველა ხელში,
მოსწამლიათ გუნება!..
ვის რად უნდა, აბა, ლექსი,
ანდა დამსახურება?!

დაარქმევენ „ნოეს“, „მიხას“,
თუ ისურვებს, ასეა.
„გლეხი“ ხარ და „გოიმი“ ხარ,
„ვერ ასწორებ ხასიათს“!

შენს თხოვნაზე ხითხითებენ,
ფასს ვერ სწავლობ დროისას,
ასი წლის კაცს გიმტკიცებენ:
„ჯერ ბავშვი ხარ, მოიცა!“

„ცამეტნი ხართ?! დღემდე
გძინავს?!“

— ხუმრობს ვიღაც რიოში:
„რაღად გინდა ახლა ბინა,
მიხვალ საიქიოში!..

მუშაობა იცის ვირმაც!..
საქმე ასე დავხუროთ!
შვილმაცა და შვილიშვილმაც
თვითონ დაიმსახურონ!

წადი, ძველი რიგი დათმე,
ნუ გვიმწარებ სამოთხეს.
მოგვაკითხეთ მერე სადმე,
ვნახოთ, იქნებ რა მოხდეს!“

არჩევს...

არჩევს დიდებს და პატარებს,
ხმალივით უჭრის ენა.
თათბირზე სპექტაკლს ატარებს,
თუმცა არა აქვს სცენა.

ვახშამდე უყვარს სადილი,
კუზს გაუსწორებს აქლემს.
მსახიობია ნამდვილი,
სიტყვას აცილებს საქმეს.



89-35

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

— ძირს დაუგდე, ალება მაინც ისწავლოს!..

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“
№ 2 (1780). იანვარი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჯაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია (მხატვარ-რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 19. 12. 88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13. 01. 89 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. 3185 უე 04607. ტირაჟი 130.000

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137